ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6604787

ნომერი: AR1982810

თარიღი : 07.08.2023

გაცემის თარიღი : 09.08.2023

გაცნობის თარიღი : 09.08.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ/რ , კორპუსი N35 -ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის , მიკრო/რაიონი IV , N4 და N5 კორპუსების მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , მიკრო/რაიონი IV , კორპუსი 36 , მიმდებარედ (ნაკვეთი 08/016);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ნორაკიძე პ/ნ 42001031344
- ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქ N108

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: არქიტექტურის სამსახურში დარეგისტრირებულ AR1943343 (25/07/2023წ). განცხადებაზე დაყრდნობით სამსახურში ს/კ N 01.14.16.009.304 მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს საქმის წარმოება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.
ვინაიდან თქვენს მიერ მოთხოვნილი ღობე არ წარმოადგენს სტაციონალურ ნაგებობას და არის დროებითი სამშენებლო ღობე , რაც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების წარმოების საჭიროებისათვის ,რომელიც მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში ერთ-ერთ სამუშაო ეტაპად არის ასახული . აღნიშნულის გათვალისწინებით დროებითი ღობის განთავსება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ– გეგმის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ .
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი სტატუსის მქონე ობიექტზე, ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.